ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

30 აპრილი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 78 (10 491) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გურამ აბსანძე:

# „ქართულ სპორტს ჩვენ განვავითარებთ, არ იქნება არავითარი პრობლემა"

**ამ სიტყვებით გამოხატა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა რესპუბლიკის მთავრობის და პირადად თავისი პოზიცია ქართული სპორტის დღევანდელი პრობლემებისადმი, რომელიც ცენტრთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის შედეგად წარმოიშვა.**

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელების შეხვედრაზე ბევრი ისეთი საკითხი გადაწყდა, რომელიც ქართული სპორტის შემდგომი განვითარებისათვის მყარ ეკონომიკურ საფუძველს შექმნის. შეხვედრაზე განიხილეს და დაამტკიცეს დეპარტამენტის ახალი სტრუქტურა და აქედან გამომდინარე ფინანსური ხარჯები.

— სტიპენდიები და ხელფასები, რომელსაც ადრე საკავშირო სპორტსახკომი აძლევდა ჩვენს სპორტსმენებს, რესპუბლიკის სახსრებით უნდა შეუნარჩუნდეს მათ — დაისვა საკითხი და ფინანსთა მინისტრმა ეს მოთხოვნაც უყოყმანოდ დააკმაყოფილა.

დაკმაყოფილდა აგრეთვე წინადადება რესპუბლიკის პერსპექტიული სპორტსმენებისთვის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე. ამავე შეხვედრაზე განიხილეს და გადაწყვიტეს სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

**თბილისში** 9 აპრილის სახელობის (ყოფილი ალექსანდროვის) ბაღში საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ საინტერესო ტურნირს ქართულ ჭიდაობაში. ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზმა მამა ელიზბარმა დალოცა და აკურთხა იგი...

ჩვენი მადლიანი „ქართულის" მოტრფიალენი მრავლად დაესწრნენ შეჯიბრებას, რომელიც სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქალაქო საბჭომ ჩაატარა.

სასიამოვნოა, რომ შეჯიბრებაში თბილისელთა გარდა სოფლების მარტყოფისა და გლდანის მოჭიდავეებიც გამოდიოდნენ. გლდანელებმა შვიდი წონითი კატეგორიიდან გაიმარჯვეს სამში: გია ელიბაშვილმა (56 კგ), კახა სიდამონიძემ (60), კახა ალიმბარაშვილმა (72), ერთ წონაში (64 კგ) უძლიერესი იყო მარტყოფელი მამუკა იორამაშვილი, დანარჩენ სამ წონაში ყველას აჯობეს თბილისელებმა: მიხეილ აბაშიძემ (52), დათო კობიაშვილმა (68), ლევან ციგრიაშვილმა (76).

აბსოლუტური კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი თბილისელი — ლევან ციგრიაშვილი და გიორგი ნუცუბიძე, ერთ წუთში გაიმარჯვა ნუცუბიძემ.

**რამინ ჟურაშვილი**



**სურათზე: 9 აპრილის სახელობის ბაღში ქართულ ჭიდაობაში გამართული ასპარეზობის ფრაგმენტი.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**



**ყველა** სხვა სიკეთესთან ერთად, ძველი რომაელები ამასაც იტყოდნენ: „თუ კაცის ვაჟკაცობა გინდათ გამოსცადოთ, მაშინ მისი მარჯვენის ძალა გაიგეთო".

თუ ამ გამონათქვამს ვენდობით, ვაჟკაცებს მართლაც თვლა არ ჰქონდათ 27-28 აპრილს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ამ დღეებში კი მართლაც დიდი ზეიმი იყო ფილარმონიაში. ელოდნენ უცხოელ მკლავჭიდელებსაც, მაგრამ მათმა გამოუცხადებლობამ სიმართლე ითქვას, ბევრი ვერაფერი დააკლო ტურნირის ეშხსა და ლაზათს.

საქართველოს ყველა საუკეთესო ათლეტმა მოიყარა თავი ფილარმონიის დარბაზში, ყველა ორთაბრძოლა დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლებში წარიმართა. კურიოზები, ბუნებრივია, ახლდა ტურნირს, მაგრამ „დიდი კურიოზი" მაინც არ მოხდა: საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ზესტაფონელმა ზაურ ცხადაძემ მოიპოვა. გამოვლინდნენ წონით კატეგორიებში გამარჯვებულნი.

მოკლედ, კიდევ ერთი საინტერესო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ სპორტის ქართველი გულშემატკივრები, და, რაც მთავარია, ყველამ ირწმუნა, რომ ტყუილად არ „შემოგვჩვევია" მკლავჭიდი.

ვრცელ მიმოხილვას ტურნირის შესახებ შემოგთავაზებთ „ლელოს" უახლოეს ნომერში.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## დღეს...

**25 მაისს** თბილისში ჩატარდება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კროსი. დღეს სპორტის დეპარტამენტში გაიმართება საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა. დასაწყისი 17 საათზე.

## ხვალ...

ოთხშაბათს, პირველ მაისს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სხდომათა დარბაზში ჩატარდება ტრადიციული პრეს-კონფერენცია. ჟურნალისტებს შეხვდება საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი.

**დასაწყისი 17 საათზე.**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.**

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში



**ეროვნული ლიგა. III ტური.**

**თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 27 აპრილი.**

**„ვესტა" (თბილისი) — „ყოჩები" (თბილისი) 56:0 (20:0).**

**„ვესტა": ნ. ხვედელიძე, ბეხელთა (თავაძე), მარჯანიშვილი, ჩიქვინიძე, იოვაძე, ჩავლეიშვილი, ქერაული, გაგნიძე (ბაკურაძე), ჯაფარაშვილი, კ. გიუნაშვილი, ლუდუშაური, რაფავა, ლიბრაძე, ბ. გიუნაშვილი, ვართანიანი.**

**„ყოჩები": თათარაშვილი, ლიპარტელიანი, გეგენავა, ყუბანეიშვილი (გოგიბერიძე), ჯაფარიძე, ჭეიშვილი, გიორხელიძე, შეყილაძე, ფირიაშვილი, გიგაშვილი, დიდებულიძე, გიორგაძე (თეზელაშვილი), კომლაძე, ლეჟავა (ნეფარიძე), გეგიძე.**

**მსაჯი: მალხაზ კოროშინაძე (თბილისი).**

მოთელვაზე გამოსულ „ყოჩების" წევრებს ეტყობოდათ, რომ „საბრძოლო გუნებაზე" ვერ იყვნენ და „ვესტასთან" აუცილებლად დამარცხდებოდნენ. მართლაც: მათ 11 ლელო გაუშვეს, საპასუხოდ კი ერთი სახიფათო მომენტიც ვერ შექმნეს.

მატჩის დასაწყისშივე მარჯანიშვილმა ხაზის გაჭრით და ვართანიანმა შერკინებიდან შეტევით ლელოები გაიტანეს. ვართანიანმა კიდევ ერთხელ მიაღწია მიზანს, მანამდე კი „ყოჩების" მცველებმა ჩავლეიშვილი ვერ შეაჩერეს, რომელმაც ბურთიც დაამიწა და ორი გარდასახვაც გამოიყენა.

იხ. მე-3 გვ.

# ნონა — სპორტული დიდების გზები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, დაფნის გვირგვინით შეამკეს. მარჯვნივ — მატჩის მთავარი არბიტრი გრუშკოვა-ბელსკა.

ფოტოები „ლელოს" არქივიდან.

**მსოფლიო** პირველობის გათამაშების მომავალ ციკლში ფიდე-მ არსებითი ცვლილებები შეიტანა: ჯერ ზონალური და საზონათშორისო ტურნირები ეწყობოდა. სამაგიეროდ, პრეტენდენტების ასპარეზობის დებულება შეიცვალა — ამჯერად უნდა შერჩეულიყო 4 პრეტენდენტი: სამი — საზონათაშორისო ტურნირიდან და ერთიც — გაფრინდაშვილთან წინა მატჩში დამარცხებული. ისინი შემდეგ მატჩებში შეხვდებოდნენ ერთმანეთს და, საბოლოო ანგარიშით, ნონას მეტოქეს გამოავლენდნენ.

ოხრიდში (იუგოსლავია) ჩატარებულმა საზონათაშორისო ტურნირმა გვიჩვენა, რომ ქალთა ჭადრაკის „ზედაფენებში" მდგომარეობა თუ ძალთა განლაგება თითქმის არ იცვლებოდა. აქ გაიმარჯვეს ალექსანდრიამ (13 ქულა 17-დან), ზატულოვსკაიამ და ლაზარევიჩმა (12-12 ქულა). ახლა მათ კუშნირიც დაემატა. ეს მოხდა 1971 წლის მაისში. აქედან რომ 7 წლით უკან დავიხიოთ და სოხუმში 1964 წელს ჩატარებული პრეტენდენტთა ასპარეზობის ცხრილს გადავხედოთ, სამ გამარჯვებულს აღმოვაჩენთ: კუშნირს, ზატულოვსკაიასა და ლაზარევიჩს. ამდენად, ახალი „მაძიებელი" მხოლოდ და მხოლოდ ნანა იყო. გამართლდა თვით ჩემპიონის მიერ ორი წლის წინ მოსკოვში გამოთქმული პროგნოზიც.



ბოლო მატჩი ა. კუშნირთან.

ოთხი პრეტენდენტი! ნახევარფინალურ მატჩებში ალექსანდრიამ ლაზარევიჩს მოუგო, კუშნირმა — ზატულოვსკაიას, ფინალურ მატჩში კი კუშნირმა — ალექსანდრიას.

მაშ ასე, კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ, კუშნირი! „ჩაციებაც" ამას ჰქვია!

მატჩის წინ ყურადღება მიიპყრო „ძველი და ახალი" პრეტენდენტის ინტერვიუმ, რომელიც მან ლენინგრადის გაზეთ „სმენას" კორესპონდენტს მისცა. აი, მცირე ნაწყვეტი ამ საუბრიდან.

**● რა ახასიათებს, თქვენი აზრით, ნონა გაფრინდაშვილს ყველაზე მეტად?**

— თავდაჯერის უნარი, საკუთარი ძალის რწმენა, პირდაპირ შესაშური ნერვები აქვს.

**● რა შეიძლება დაუპირისპიროთ მას?**

— მასთან უკვე ორჯერ დავმარცხდი. მივხვდი კიდეც, რატომ მოხდა ეს. ამ შეცდომების გამოსწორება ახლა გვიანღაა და, ალბათ, ცდაც აღარ ღირს. ერთ თვისებას რომ შევიძენ, მეორეს ვკარგავ. მაგრამ მე ხომ ჩემი, ინდივიდუალური, თვისებებიც მაქვს, რაც ერთმანეთისაგან განგვასხვავებს. ჩანს, ჩემი მთავარი იარაღი მაქსიმალურად უნდა განვავითარო. რა არის ეს იარაღი? ეს, რა თქმა უნდა, საიდუმლოა.

თუ რა იყო ეს იარაღი, ჩემთვის დღემდე მართლაც საიდუმლოდ დარჩა, თუმცა გაფრინდაშვილისა და კუშნირის ყველა სამატჩო პარტიას ვესწრებოდი. გაფრინდაშვილის „საიდუმლო" კი არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა: იგი, უბრალოდ, მეტოქეზე უკეთ თამაშობდა.

წინა მატჩისაგან განსხვავებით, სადაც, ვინ იცის, რომელი ქალაქის კანდიდატურა არ ყოფილა წამოყენებული, ამჯერად ბევრი არ უდავიათ — გადაწყდა, შეხვედრა, ისევე როგორც 1965 წელს, რიგაში გაემართათ. ამ ქალაქში კარგი მასპინძლობა იციან, უყვართ ჭადრაკი, გულშემატკივარი კი საკმაოდ ობიექტურია. ბრძოლა 1972 წლის 12 მაისს დაიწყო.

მესამე შეხვედრა არც პირველს ჰგავდა და არც მეორეს. თბილისში პირველი 5 პარტიის შემდეგ თუ თანაბარი ანგარიში იყო, ახლა ნონამ უკვე დიდ უპირატესობას მიაღწია: 3,5:1,5. ცხრა პარტიის შემდეგ მას უკვე 3 ქულით უპირატესობა (6:3) ჰქონდა. რაღა რჩებოდა?!

მეათე პარტია ყაიმით დასრულდა. ახლა საკმარისი იყო ერთი რომელიმე პარტიის მოგება, რომ წინააღმდეგობის გაგრძელებას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა. სწორედ ასეთი მოსაგები პოზიცია ჰქონდა კიდეც ქართველ მოჭადრაკეს მორიგ, მეთერთმეტე შეხვედრაში, სადაც ეფექტურად შეწირა ფიგურა. ზოგჯერ გაიგონებთ — ყველაზე ძნელი მოსაგები პოზიციის მოგებააო. ასეთ მდგომარეობაში მოჭადრაკე, თუნდაც უმაღლესი კვალიფიკაციისა და დიდად გამოცდილი უნებლიედ ადუნებს ყურადღებას. ხომ ერთი ნაბიჯია გამარჯვებამდე, ძალიან უმძიმს მისი გადადგმა. ასეა თუ ისე, გაფრინდაშვილმა წააგო ეს პარტია. მატჩის მიწურულს თამაში აღარ გამოსდიოდა; თუმცა, რა თქმა უნდა, საერთო უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა — 8,5:7,5.

ახლა ისევ კუშნირს მოვუსმინოთ:

— რასაკვირველია, ანგარიში ამჯერად უფრო საპატიოა... გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა. რას გააწყობ, — ამჟამად იგი უძლიერესია. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ გამარჯვებულმა დაიმსახურა ეს წარმატება. ცალკეული პარტიები ან დისტანციის მონაკვეთებიც კი მხოლოდ შტრიხებია, რომლებიც საერთო კანონზომიერ სურათს გვიხატავს.

კორესპონდენტმა, რომელიც კუშნირს ესაუბრებოდა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ მატჩის პირველი ნახევარი (სადაც ნონას სამი ქულის უპირატესობა ჰქონდა) და მეორე ძლიერ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. აი, რა უთხრა მას კუშნირმა:

— საინტერესო შემთხვევა მოხდა სადღაც მეცხრე თუ მეათე პარტიის შემდეგ. მე და ჩემი მწვრთნელი იურკოვი ქუჩაში მოვდიოდით, როცა რადიოში მოვისმინეთ: „რიგაში მთავრდება მატჩი ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე..." ჩვენ ეს კარგ ნიშნად ჩავთვალეთ.

კუშნირმა დასძინა, რომ განსხვავება მატჩის პირველ და მეორე ნახევარს შორის უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისა იყო, ვიდრე წმინდა საჭადრაკო. „სამ კვირაში ვერ გაძლიერდები".

წინა, 1969 წლის შეხვედრისაგან განსხვავებით, ახლა მოსკოველ მოჭადრაკეს აღარ უთქვამს, რომ მომავალშიც შეხვდებოდა ნონას. ეს მესამე ორთაბრძოლა მათ შორის მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა. თუმცა 1978 წელს, ბადკისინგენში (გფრ) კუშნირმა კიდევ ერთხელ ითამაშა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში..

ბევრი რამ თქმულა მოზარდის მიზანდასახული აღზრდის შესახებ, როცა მის წინაშე მეტად სერიოზული პრობლემის გადაწყვეტის საკითხს სვამენ და სისტემატურად, მეთოდურად ამზადებენ. სპარსეთის მეფე ქსერქსეს დღეში რამდენჯერმე ეუბნებოდნენ: „მეფეო, გახსოვდეს ათენელები!" (რომელთა წინააღმდეგაც უნდა ეომა). ანდა გავიხსენოთ ანრი სენ-სიმონი, მოსამსახურე დილიდან ასეთი სიტყვებით რომ აღვიძებდა: „აბრძანდით, გრაფ, თქვენ დიადი საქმეები მოგელით!" ნანა ალექსანდრიაც ბავშვობიდანვე დაახლოებით ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა. ვახტანგ ქარსელაძემ ადრე გამოიცნო მისი ნიჭი და გვარწმუნებდა, რომ იგი ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო პირველობაზე მატჩს ითამაშებდა. რა თქმა უნდა, ამას საგანგებო მომზადება სჭირდებოდა. 1966 წლიდან ნანას მწვრთნელი ბუხუტი გურგენიძე გახდა, რომელმაც ახალგაზრდა ოსტატს დიდი ამაგი დასდო. რა თქმა უნდა, 1967 წელს ალექსანდრია არასაკმარისი გამოცდილების გამო ჯერ კიდევ არ იყო მზად სუბოტიცის (იუგოსლავია) პრეტენდენტთა ტურნირში პირველი ადგილისათვის ებრძოლა, სამაგიეროდ, 1971 წელს ოხრიდში (იუგოსლავია) საზონათაშორისო ტურნირში დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. ნონამდე მისაღწევად საჭირო იყო პრეტენდენტთა ორი მატჩის მოგება. ნახევარფინალში ლაზარევიჩი მართლაც დაამარცხა, მაგრამ ფინალურ მატჩში კუშნირთან მარცხი იწვნია.



ნონა და ნანა

და აი, 1973 წელს ნანამ საზონათაშორისო ტურნირშიც წარმატებით ითამაშა: პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში შული დაამარცხა, ფინალში კი — ლევიტინა. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ ორთაბრძოლაში მეტოქეებს 12 პარტია უნდა ეთამაშათ, მაგრამ თანაბარი ანგარიში აღინიშნა. დამატებით პარტიებშიც დიდხანს ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა. მხოლოდ მეჩვიდმეტე პარტიის მოგებით შეძლო ალექსანდრიამ საბოლოო გამარჯვება — 9:8!

მაშ ასე, ნონა გაფრინდაშვილი — ნანა ალექსანდრია! განხორციელდა დიდი ხნის ოცნება — მსოფლიო პირველობაზე ორი ქართველი ქალი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ეს იყო ჩვენი საჭადრაკო სკოლის, მთელი ქართული სპორტის დიდი გამარჯვება; ქართული კულტურის უდავო მიღწევა, ქართველი ხალხის დიდი სიხარული... რაც მთავარია, ნანა ალექსანდრიას ეს მიღწევა სავსებით დამსახურებული იყო, არავის ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ხომ იყო წლების განმავლობაში ალა კუშნირი მსოფლიოს № 2 მოჭადრაკე. ახლა ეს წოდება ნანას მიეკუთვნა.

იწყებოდა მართლაცდა ისტორიული მატჩი. სად უნდა გამართულიყო იგი? საქართველოს ყველა ქალაქი დიდი სიამოვნებით უმასპინძლებდა ამ მეტისმეტად საინტერესო ასპარეზობას. ადრეც ყოფილა შემთხვევები, როცა მსოფლიო პირველობის ორთაბრძოლების მონაწილეები ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდნენ, რათა ყველა მსურველი დასწრებოდა მატჩს. შემდეგ ასეთი პრაქტიკა უარყვეს იმ არგუმენტით, რომ მოჭადრაკეები მეტად იღლებიან. ახლა გადაწყდა მატჩის პირველი ნახევარი ბიჭვინთაში გამართულიყო, მეორე კი თბილისში.

ნონა გაფრინდაშვილს „რიგის ბრიგადა" ეხმარებოდა: დიდოსტატი აივარ გიპსლისი და ოსტატი ანატოლი შმიტი, ნანას, როგორც ყოველთვის — დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე. რასაკვირველია, მასაც შეეძლო, რომელიმე თანაშემწე ჰყოლოდა, მაგრამ ბუხუტი, როგორც თვით აცხადებს ხოლმე, უფრო მარტო მუშაობასაა მიჩვეული. ჩვენ ბევრ დიდოსტატს ვიცნობთ, რომელიც გადადებული პარტიის მრავალსაათიანი, დაწვრილებითი ანალიზის შემდეგაც კი ცდილობს თავისი ნამუშევარი ვინმეს შეამოწმებინოს, გარეშე თვალი მეტს ხედავსო. ბუხუტი გურგენიძე ასე არასოდეს იქცევა...

და აი, მეტოქეები 1975 წლის 21 ოქტომბერს მიუსხდნენ საჭადრაკო დაფას. უკვე კარგა ხანი გავიდა ამ შეჯიბრებიდან და, თითქოს გუშინ იყოო, ყოველი წვრილმანი გახსენდება კაცს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მოწინააღმდეგის უაღრესად უკომპრომისო თამაში. მართლაცდა თავისებური რეკორდი დამყარდა — მთელ მატჩში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა ყაიმით, და ისიც, არ იკითხავთ, როდის? — 78-ე სვლაზე, მას შემდეგ, რაც გაფრინდაშვილმა, სულ ნაკლები, ორჯერ მაინც გვერდი აუარა უძლიერეს გაგრძელებას. სულ კი მეტოქეებმა დაფასთან 11 საათი გაატარეს — ნამდვილი მარათონიც ამას ჰქვია!

უკომპრომისო თამაშთან ერთად უნდა აღინიშნოს ორივე მოჭადრაკის დიდებული თეორიული მომზადება, ფართო სადებიუტო ერუდიცია. მსოფლიო პირველობის მატჩებში მეტოქეები ძნელად ცვლიან ხოლმე დებიუტებს, ენდობიან თავიანთ ხანგრძლივ წინასამატჩო მზადებას. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ახლა კი 12 პარტიაში ფრანგული დასაწყისიც შეგვხვდა, სიცილიურიც; უფიმცევის, ალიოხინის დაცვები, სკანდინავური და ვენურიც. ამასთან, ყველა ამ დასაწყისში მეტოქეებს საყურადღებო სიახლეებიც ჰქონდათ.

მატჩის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება მოწინააღმდეგეების დიდი კორექტულობა და ურთიერთპატივისცემა გახლდათ. რაიმე ინციდენტზე, ასე რომ შევეჩვიეთ მსოფლიო პირველობის მატჩებზე, ლაპარაკიც არ ყოფილა.

ბიჭვინთის ნახევრის შემდეგ ანგარიში იყო 5,5:2,5 ნონას სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. თბილისში რაიმე განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, არ მომხდარა. პრეტენდენტს რაღა არჩევანი ჰქონდა, ყველა პარტია უნდა მოეგო. მეცხრე შეხვედრაში მან სიცილიურ პარტიას მიმართა. ნანა შესანიშნავად იცნობდა ამ დებიუტს, მაგრამ გარკვეული მოსაზრებით ამ მომენტამდე მისი გამოყენებისაგან თავს იკავებდა. გამოცდილი მოჭადრაკეები ამ დებიუტზე ამბობენ ხოლმე: სიცილიურში ან თეთრები იგებენ იერიშით და საკმაოდ სწრაფად, ანდა, თუ ასე არ მოხდა, შავები იმარჯვებენ... ღრმა ენდშპილში. ამ პარტიაში ჯერ კინაღამ პირველი ვარიანტი განხორციელდა, შემდეგ (ასევე კინაღამ) მეორე, ბოლოს კი სულ სხვა რამ გამოვიდა! უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ჯერ ნონა იგებდა და ამით ამთავრებდა კიდეც ფაქტობრივად მატჩს, მაგრამ ვერ გამოიყენა საგრძნობი მატერიალური უპირატესობა (ზედმეტი ხარისხი და პაიკი), ღელავდა და არასაკმარისი გულისყურით თამაშობდა. ზოგჯერ დიდ მოჭადრაკეებსაც ხელიდან უსხლტებათ გამარჯვება. პარტიაში ვითარება აშკარად შეიცვალა. ახლა უკვე ინიციატივას შავები დაეუფლნენ და უკეთეს პოზიციაში გადადეს შეხვედრა. გასაგებია, პრეტენდენტმა არ მიიღო შეთავაზებული ყაიმი, იგი ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ მან ვერ გამოიყენა საუკეთესო შესაძლებლობები და დამარცხდა კიდეც.

მატჩის საბოლოო ანგარიში იყო 8,5:3,5. ნონა უკვე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა და პირველს ქალთა ჭადრაკის ისტორიაში დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ამ წოდების შემოღება, რა თქმა უნდა, მშვენიერი და დროული გადაწყვეტილება იყო, შემდეგში რომ მეტი „ხელმოჭერილობა" გამოეჩინათ და იგი ბევრისთვის არ „დაერიგებინათ". ახლა ჩემპიონთან ერთად ეს წოდება პრეტენდენტებსაც უნდა მიეღოთ, ზოგ შემთხვევაში — დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებსაც, „ტურფას გაიაფება" კი არასოდეს ყოფილა სასურველი მოვლენა...

**ბივი ბამრეკელი**

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 72, 76.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატჩი მიეძღვნება მიხეილ მესხის ხსოვნას

**მთელი** საქართველო შეძრა სამწუხარო ცნობამ მიხეილ მესხის გარდაცვალების შესახებ, კაცისა, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. ამ დღეებში არაერთი ეპიზოდი და ფრაგმენტი გაიხსენეს გულშემატკივრებმა მისი შინაარსიანი ცხოვრებიდან და ყველგან ერთი რამ ჩანდა აშკარად: მიხეილ მესხი არამარტო დიდი ფეხბურთელი, თავისი საქმის ვირტუოზი გახლდათ, იგი იყო პიროვნება ამ სიტყვის ფართო და საუკეთესო გაგებით. მის კაცურკაცობაზე, მის ვაჟკაცობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამშობლოს ექვსი შვილი შემატა.

მიხეილ მესხის ხსოვნას მიეძღვნება 25 მაისს თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გამართული საქველმოქმედო მატჩი, რომლის მთლიან შემოსავალს მიხეილ მესხის მრავალრიცხოვანი ოჯახი მიიღებს. ამ შეხვედრის ჩატარების ინიციატორი თბილისის საფეხბურთო კლუბ „იბერიის" ხელმძღვანელობა გახლავთ. ვინ, თუ არა მათ, უწყიან ყველაზე უკეთ, თუ როგორ წმინდად გაიარა თავისი ცხოვრების გზა მიხეილ მესხმა. იციან და სწორედ ამიტომ თვლიან თავს ვალდებულად ამ ადამიანი-ლეგენდის წინაშე.

იმედია, ვისაც უყვარდა მიხეილ მესხი, ვინც ერთხელ კიდევ დააგუგუნა „მესხი-მესხი" ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე გასულ შაბათს, არც ამჯერად დარჩება ვალში და თავის ბოლომდე გაუმქრალებელ სიყვარულს კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს თავის კერპს. ეჭვიც არ გვეპარება, რომ თბილისის „იბერიის" კლუბის ამ ჭეშმარიტად მისაბაძ თაოსნობას გამოუჩნდებიან მხარდამჭერნი. 25 მაისამდე საკმაო დროა — ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც სურვილი გაუჩნდებათ, მხარში ამოუდგნენ საქველმოქმედო მატჩის ორგანიზატორებს, კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ, რომ მესხისთანა ადამიანები მუდამ უნდა გვახსოვდეს.

დავამატებთ, რომ „იბერიის" ხელმძღვანელობას განზრახული აქვს სხვა გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთა ხსოვნასაც მიუძღვნას მსგავსი შეხვედრები.

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

(დასასრული)

მეორე ტაიმი დაწყებული, იყო, ძლიერმა წვიმამ რომ წამოუშინა. სველმა მინდორმა და ბურთმა გაართულა მოთამაშეთა მოქმედება. ასეთ ამინდში უპირატესობას ის აღწევს, ვინც ფიზიკურად უკეთესადაა მომზადებული. „ვესტასაც" ოციოდ წუთი დასჭირდა „ახალ გარემოსთან" შესაჩვევად, შემდეგ კი ძალაგამოცლილ მეტოქესთან „ცალკარას" თამაში დაიწყო: მარჯანიშვილი და ჩიქვინიძე ფინტებით დაუსხლტნენ მცველებს; იოვაძემ, ქერაულმა, ნ. ხვედელიძემ და ამ მატჩში საუკეთესომ, ვართანიანმა ინდივიდუალური გარღვევები ლელოებით დაასრულეს, ხოლო ჩავლეიშვილმა ლელოში უყურადღებოდ დარჩენილი ბურთი დაამიწა, მანამდე ოთხი გარდასახვაც შეაგდო და ჯერჯერობით ჩემპიონატის სარეკორდო ანგარიშით გაამარჯვებინა „ვესტას".

**თბილისი. ხსი-ის სტადიონი. 28 აპრილი.**

**„აკადემია" (თბილისი) — „მიმინო" (თბილისი) 3:10 (0:6).**

**„აკადემია"**: დ. ძაგანელი, ბუგიანიშვილი (ჩხენკელი), მანთიძე, კალანდაძე, ქავთარაშვილი, ნარიმანაშვილი, ცაგარეიშვილი, პ. სვანიძე, ჯინჭარაძე, გილაური, ობოლაძე, ღლონტი, ახათიანი (შოთაძე), მოდებაძე, რ. წიკლაური (ლუდუშაური).

**„მიმინო"**: ნატროშვილი, ზ. ალანია. გეგეჭკორი, კ. ალანია, მაისურაძე, ძნელაძე, ხეჟანია, ძიძაძე (დოლიძე), ნიკურაძე, პატარაია (კვანტალიანი), სულხანიშვილი, აბრამიშვილი, დევდარიანი, ფერაძე, გ. სვანიძე.

**მსაჯი: ზურაბ რეხვიაშვილი (თბილისი).**

ამ მატჩამდე მეტოქეებმა გამარჯვება „ვერ მოახერხეს", ასე რომ, „ნავსის გატეხვა" ახლა სურდათ. მიუხედავად ამისა, თამაში მათ მაინც ფრთხილად, ურთიერთდაზვერვით დაიწყეს. ნელ-ნელა გამოიკვეთა „მიმინოს" უპირატესობა, ეს, ალბათ, განაპირობა იმან, რომ აკადემიელთა გარენახევარმცველმა არასწორი ტაქტიკა აირჩია: არ აწოდებდა ბურთს საკმაოდ სწრაფ და ღონიერ სამმეოთხედელებს და ან თავად უტევდა, ან ფეხით თამაშობდა. ამასობაში, მიმინოელმა ძნელაძემ ცენტრიდან გაიტანა საჯარიმო, ცოტა ხანში კი მისმა თანაგუნდელმა მორკინალებმა ზედიზედ ორჯერ შეიტანეს ბურთი ლელოში, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ნატროშვილს გადააწოდეს იგი და მანაც არეკნი შეაგდო.

მეორე ტაიმიც მიმინოელთა შეტევებით დაიწყო. თუმცა „აკადემიის" ერთ-ერთი კონტრშეტევისას მათ თამაშის წესი დაარღვიეს და დ. ძაგანელმა საჯარიმო გაიტანა. მასვე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.



„ვესტა" — „ყოჩები". ა. კოტორაშვილის ფოტო.

აქედან მოყოლებული, ინიციატივას საბოლოოდ მიმინოელები დაეუფლნენ — მათ უამრავი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს: მაისურაძე ლელოში შებოჭა ცაგარეიშვილმა, ნატროშვილი კი ორჯერ ვერ შეელია ბურთს და არ გადააწოდა გარღვევაზე გასულ პარტნიორებს. თუმცა, ნატროშვილმა ბოლო წუთზე გამოასწორა შეცდომები, როცა დაეუფლა ფეხით მოგერიებულ ბურთს, რამდენიმე მეტოქეს გასცდა და ფერაძეს ლელო გაატანინა. ასე იზეიმა „მიმინომ" პირველი გამარჯვება სეზონში.

ამ ტურის მატჩი ჭიათურის „იმერეთსა" და თბილისის „შევარდენს" შორის არ შედგა „შევარდენის" საზღვარგარეთ გამგზავრების გამო. ქუთაისის „აიამ" და „გელათმა" ჩემპიონატის დაწყებამდე ითამაშეს, გაიმარჯვა „აიამ" — 17:0. თბილისის „რაში" ისვენებდა.

### ვეტერანთა მატჩი

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და ქუთაისის ვეტერან მორაგბეთა ნაკრები გუნდები. ანგარიშით 16:12 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

# I ჯგუფი

**გაიმართა** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის: „ეგრისი" (სენაკი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არმაზი" (მცხეთა) 3:2, „ოკრიბა" (ტყიბული) — „ჩიხურა" (საჩხერე) 4:1, „მრეტები" (თბილისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1, „კახეთი" (თელავი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 4:0, „არაგვი" (დუშეთი) — „სქური" (წალენჯიხა) 3:3, „სიხარული-90" (გაგრა) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1, „იმერეთი" (ხონი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0.

# „ოქროს ბიჭის" მძიმე თავგადასავალი

„არგენტინელთა სპორტულმა ელჩმა" დიეგო მარადონამ თავისი არასპორტული საქციელით წონასწორობა დაარღვია არა მარტო მწვანე საფეხბურთო მინდორზე და მის გარშემო, არამედ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც" — ასე იწყება „ლიბერასიონში" (პარიზი) დაბეჭდილი წერილი, რომელიც ეძღვნება გახმაურებულ „კოკაინის სკანდალს".

შემდეგ, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „კოკაინის თეთრმა კვალმა, რომელიც თან გაჰყვა მარადონას იტალიიდან არგენტინამდე, ორ ბანაკად გაჰყო არგენტინის პრეზიდენტის ანტურაჟი. თავად პრეზიდენტს, რომელიც არ მალავს სიმპათიებს მარადონასადმი, ძალზე აწუხებს ის სკანდალური ფაქტი, რომელიც „ნაპოლი" — „ბარის" მატჩის შემდეგ გამომჟღავნდა".

ნაცვლად იმისა, რომ დავეხმაროთ ფეხბურთელს ამ დიდი გაჭირვების ჟამს, — ამბობს პრეზიდენტი კარლოს მენემი, — ჩვენ მას ძირს ვუთხრით და თავს ვესხმით. მარადონა ჯერ სათაყვანებელ კერპად ვაქციეთ, ახლა კი ჩვენივე ხელით გვინდა ჯვარს ვაცვათ. არის ლოგიკა? იქნებ ჯობს, უფრო მიმტევებელნი და დიდსულოვანნი ვიყოთ. შეუმცდარი, სამწუხაროდ, არავინ არის. ჩვენ ყველანი ცოდვის შვილები ვართო.

მაგრამ, როგორც „ლიბერასიონის" კორესპონდენტი აღნიშნავს, არგენტინის პრეზიდენტის პოზიციას მთავრობაში ბევრი არ იზიარებს. მით უმეტეს, რომ კარლოს მენემი ცნობილია თავისი სისუსტით სპორტისა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავთა მიმართ. მარადონასადმი განსაკუთრებით კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი ედუარდო დუალდე, რომელმაც ამ დღეებში მკაცრად „დაამუშავა" პრესაში „პიბე დე ორო" („ოქროს ბიჭი"). ამბობენ, თავისი მოადგილის ასეთი სიმკაცრე და დაუნდობლობა არ მოეწონა პრეზიდენტს და მას შენიშვნაც კი მისცაო, მაგრამ ეს უფრო პიკანტურ ჭორსა ჰგავს, ვიდრე სიმართლეს.



აი სიმართლე კი, კორესპონდენტის აზრით, ისაა, რაც სპორტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ფერნანდო გალმარინმა რადიოთი თქვა: „ეს დიდი სირცხვილია ჩვენთვის, არგენტინელებისთვის, ვინაიდან მარადონა სამხრეთ ამერიკის „სპორტული დიპლომატიის" წარმომადგენელი იყო ევროპაში და თავისი საქციელით შელახა რეგიონისა და ჩვენი ქვეყნის ღირსება. მაგრამ, მე კიდევ უფრო მეტად მაღელვებს ის, რომ მან ძალზე ცუდი მაგალითი მისცა არგენტინელ ბავშვებს".

ამ სკანდალურ ისტორიაში არის ერთი ნიუანსიც. მარადონას საქციელით აღშფოთებულნი არიან მცირეწლოვან ბავშვთა მშობლები, ვინაიდან მათი პატარების სათაყვანებელი კერპი — მარადონა ჩვეულებრივი ნარკომანი გამოდგა — ასკვნის „ლიბერასიონის" კორესპონდენტი.

როგორც ჩანს, „პიბე დე ოროს" მართლაც მძიმე დრო დაუდგა. ზოგიერთი არგენტინული გაზეთის ცნობით, მას ურთიერთობა გაუმწვავდა მეუღლესთანაც, რომელმაც გაიგო იტალიელი კრისტინა სინაგრის საჩივრის ამბავი სასამართლოში. ეს უკანასკნელი ამტკიცებს, ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მარადონასგან ჰყავს ვაჟიშვილი — დიეგო არმანდო უმცროსი.

ახლა, რაც შეეხება თვით „დამნაშავეს". სანამ გაირკვევა მისი ბედი „ბოკა ხუნიორსთან" დაკავშირებით, იგი ცხოვრობს თავის მშობლებთან ესკინაში. თევზაობს მდინარე პარანაში. ხანდახან მეუღლესთან და თავის გოგონებთან ერთად დასეირნობს საკუთარი იახტით და კმაყოფილდება იმ „მცირე შემოსავლით", რომელსაც იაპონურ ფირმებთან დადებული სარეკლამო კონტრაქტებით იღებს — წელიწადში 3 მილიონი დოლარით...

პუბლიკაცია მოამზადა **დათო ისლამოვმა.**

### მარადონა — ნარკომანი

ბუენოს-აირესიდან მოვიდა ცნობა, რომ პოლიციამ მარადონას ბინაზეც მიაკვლია ნარკოტიკების კვალს, სკანდალმა ფართო მასშტაბები მიიღო, პოლიცია იძულებული გახდა, ფეხბურთელი დაეპატიმრებინა. ვარაუდობენ, რომ მარადონა ვაჭრობდა ნარკოტიკებით და თვითონაც ღებულობდა ამგზნებ საშუალებას.

შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, დიეგო მარადონა პატიმრობიდან თავდებით გამოუშვეს, ამჟამად, მიმდინარეობს ძიება.

### „სპარტაკი" შეიწყალეს

ახლახან მოეწყო საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის ბიუროს დახურული სხდომა, სადაც განიხილეს მოსკოვის „სპარტაკის" იაპონიაში გამგზავრებასთან დაკავშირებული საკითხი. ცნობილია, რომ ამის გამო სპარტაკელებმა დაუკითხავად გააცდინეს საკავშირო პირველობის ორი კალენდარული მატჩი კიევის „დინამოსთან" და ტაშკენტის „ფახთაქორთან", რისთვისაც ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მათ დამარცხებები ჩაუთვალა.

ალმასკომის ბიურომ გააუქმა სადისციპლინო კომიტეტის ეს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ „სპარტაკის" შეხვედრები კიეველებთან და ტაშკენტელებთან გაიმართოს მოგვიანებით, ხოლო თვით მოსკოვის „სპარტაკი" დააჯარიმა 200.000 მანეთით. გარდა ამისა, მოსკოვის „სპარტაკი" აანაზღაურებს ორივე ამ გაცდენილი მატჩის ხარჯებს.

ალმასკომის ბიურომ მკაცრად გააფრთხილა კლუბის ხელმძღვანელობა და დაავალა დასაჯოს დამნაშავენი.

### „ბაბილონის ენათა აღრევა"

ვინ იცის, რა წარმოშობისა და ტომის ხალხი აღარ თამაშობს ახლა აშშ-ს ნაკრებში, რომელიც, როგორც ცნობილია, მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატის მასპინძელია. ვერმეში, შუა ხაზის მოთამაშე, უნგრელია, მეკარე მეოლა იტალიური წარმოშობისაა, რამოსი ურუგვაელია, ჰარკსი — შოტლანდიელი, ისევე, როგორც მურეი. პერესი სალვადორელია, პასტორი — პერუელი; ვინდიშმანი და დუბაკი — გერმანელები, კლუპასი ბერძენია, ბალბოა — არგენტინელი, სტოლმაიერი — ტრინიდადელი, გუაუ — განელი.

მიმომხილველების აზრით, აშშ-ის ნაკრების მთავარი ნაკლი „ბაბილონის ენათა აღრევა" კი არ არის, არამედ ის, რომ მინდორზე ეს მოთამაშეები ვერ ნახულობენ საერთო ენას.

# არტიომ ტარასოვი — საქართველოს ჩემპიონი

**არ** შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 41 წლის საბჭოთა სუპერბიზნესმენს ტარასოვს მთელი მსოფლიო იცნობს. იგი რსფსრ-ის სახალხო დეპუტატია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი დიდი კოოპერატივის დამაარსებელი, ამჟამად კი მრავალდარგოვან საგარეოეკონომიკურ ასოციაცია „ისტოკის" პრეზიდენტი, ტარასოვს უცხოეთში „ადამიან-კომპიუტერს" უწოდებენ. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ მეშინია რეკეტისა, რადგან ჭაბუკობაში კრივს მივდევდიო.

არტიომ ტარასოვი სოხუმელია. 1966 წელს დაამთავრა აქაური მე-14 საშუალო სკოლა. მამამისი ცნობილი სოხუმელი ფოტოკორესპონდენტი იყო, დედა — ლიუდმილა ალექსეევა — მეცნიერ-მუშაკი.

არტიომი 4 წელი ვარჯიშობდა სოხუმის კრივის სექციაში მწვრთნელ გივი იაშვილის ხელმძღვანელობით. ბატონმა გივიმ გაიხსენა, ტარასოვი მონაწილეობდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში აფხაზეთის ნაკრების შემადგენლობაში და გამარჯვებულის სახელიც მოიპოვაო... მის სათანადოდ წიგნაკში, რომელსაც ბიზნესმენი საგულდაგულოდ ინახავს, აღნიშნულია, რომ 14 ჩატარებულ ბრძოლიდან 12 შეხვედრა მოიგო.

ბიზნესმენმა, რომელსაც ამას წინათ მოსკოვში შევხვდი, გვითხრა, რომ შარშან დაეხმარა საბჭოთა კავშირის კრივის პროფესიულ ასოციაციას, აფინანსებდა კერძო სპორტულ ჟურნალ „გონგს".

ა. ტარასოვმა გულთბილად გაიხსენა თავისი სოხუმელი მწვრთნელი გივი იაშვილი: სწორედ გივის დამსახურება იყო, 1966 წელს საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდიო.

**თენგიზ ბაჟკორია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
**სოხუმი.**

# პოლგარები აღარ ხუმრობენ

**იუგოსლავიის** ქალაქებში: პორტოროჟსა და ნოვაია გორიცაში გაიმართა მოჭადრაკეთა ერთობ უჩვეულო მატჩი, რომელშიც სამ დას პოლგარს ეთამაშებოდა ვაჟთა ინტერნაციონალური ტრიო დიდოსტატ ალექსანდრე ხალიფმანის (სსრკ), საერთაშორისო ოსტატების: იო არლანდის (იტალია) და ალიშა გროსარის (იუგოსლავია) შედგენლობით. შეჯიბრება, რომელმაც ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ორ წრედ ოეწყო.

პორტოროჟის ნახევარში მსოფლიო ოლიმპიადის ჩემპიონებმა დებმა პოლგარებმა დიდ უპირატესობას მიაღწიეს — 6,5:2,5. ამ წარუმატებლობის შემდეგ „შეურაცხყოფილმა და განრისხებულმა" მამაკაცებმა ნოვაია გორიცაში რევანშის აღება გადაწყვიტეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — პოლგარები ამჯერადაც ბრწყინვალედ თამაშობდნენ და კვლავ გაიმარჯვეს 6:3. ამრიგად, ამ უჩვეულო მატჩის საბოლოო შედეგია 12,5:5,5.

ი, როგორ დამთავრდა მეორე ს ცალკეული პარტიები: ხალიფმანმა მოუგო ჟუჟას, დამარცხდა იტთან (მოფერებით მას იუტ ეძახიან) და ყაიმით დაამთავრა ავედრა სოფიასთან. არლანდი მარცხდა იუდიტთან, სხვა ორი რტია კი ყაიმით დაამთავრა. გროსარი დამარცხდა სოფიასთან და ჟუჟასთან, იუდიტს კი მძიმე ბრძოლის შემდეგ დაუზავდა.

# ამჟამინდელი პრინციპი



# მათზე ლაპარაკობენ

**ბერნარ ტაპი** დღესდღეობით საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანია. საფეხბურთო კლუბ „მარსელის" პრეზიდენტი ცდილობს და წარმატებითაც, მოიხვეჭოს ევროპის მთელი ოქრო. იღბლიანი ბიზნესმენი, ეროვნული კრების დეპუტატია.

— ცხოვრებაში — განაცხადა ტაპიმ — სამი რამ მიზიდავს: ბიზნესი, სპორტი და პოლიტიკა. მიხარია, რომ ყველაფერი ეს შევათავსე „ადიდასის" საქმიანობაში. მართლაც, ტაპის შენაძენი — ეს ის უდიდესი გარიგებაა, რომელიც კი ოდესმე განხორციელებულა ფინანსური ჯგუფის „ბერნარ ტაპი ფინანსის" (ბტფ) მიერ. მარიფათიანი მარსელელი ბიზნესმენის კონტროლქვეშ გადავიდა მრავალეროვანი კორპორაცია, რომელშიც დასაქმებულია 9,5 ათასი მუშაკი, 27 ფილიალით 20 ქვეყანაში და რომლის წლიური საქონელბრუნვა 15,4 მილიარდ ფრანკს შეადგენს, რაც თითქმის ერთი ერთი პროცენტია თვით ბტფ-ს ბრუნვისა.

1947 წელს დასავლეთგერმანელი მრეწველის ადოლფ დასლერის მიერ დაარსებული „ადიდასი" ბოლო წლებში საგრძნობ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა, რამაც პერსონალის ერთი ნაწილის დათხოვნები გამოიწვია. გასული წელი ფირმამ კვლავ უარყოფითი მაჩვენებლებით დაასრულა. ამრიგად, ბერნარ ტაპმა, როგორც ფრანგული გაზეთები ადასტურებენ, ერთის მხრივ, შეიძინა სამრეწველო გიგანტი, რომელიც დიდ პრობლემებს აწყდება, მეორეს მხრივ, უცილობლად გახდა მსოფლიოს სპორტული ინდუსტრიის „პირველი ნომერი".

ფრანგი ბიზნესმენის მიერ დასავლეთგერმანული მსხვილი კომპანიის შესყიდვას ადგილობრივი მიმომხილველები უდავოდ პოლიტიკურ ელფერსაც ანიჭებენ: ეს ხომ იმ დროს მოხდა, როდესაც საფრანგეთში ბევრი შიშობს, რომ გერმანიის გაერთიანება მის უცილობელ ეკონომიკურ ბატონობას გამოიწვევს ევროპაში. ამასთან დაკავშირებით ტაპიმაც განაცხადა: ფრანგული კომპანიის მიერ „ადიდასის" შეძენა ადასტურებს, რომ ჩვენ შევძელით გერმანელი კონკურენტებისათვის გვეჯობნა, რომლებიც თავადაც ისწრაფვოდნენ ამ კომპანიაზე კონტროლის დასაწესებლად „მათსავე ტერიტორიაზე".

საფრანგეთში აგრეთვე ვარაუდობენ, რომ „ადიდასის" შეძენა საგრძნობლად ზრდის ქვეყნის შანსს, რათა 1998 წელს უმასპინძლოს მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში, რომლის ორგანიზაციის ერთ-ერთი კანდიდატიცაა. საიდუმლო არაა, რომ კომპანიის მფლობელი — ფიფა-სა და უეფა-ს ოფიციალური „მომმარაგებელი" — ფეხბურთის უმაღლეს ინსტანციებში უდიდესი ზეგავლენით სარგებლობს. ბერნარ ტაპიმ განაცხადა, რომ „ამისათვის მთელი ძალ-ღონით იბრძოლებს".

**სურათზე:** ბერნარ ტაპი — ფირმა „ადიდასის" მფლობელი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# „ფაირ პლეის" ლაურეატები

ფრიად საპატიო ჯილდო „ფაირ პლეი" — „პიერ დე კუბერტენი" 1964 წლიდან არსებობს. აი, მისი ლაურეატების სრული სია:

1964 — ეუგენიო მონტი (იტალია, ბობსლეი), 1965 — ვილი უაიტი (აშშ, მძლეოსნობა), იშტვან ჟოლტი (უნგრეთი, ფეხბურთის მსაჯი). ფეხბურთის კლუბები „ვესტ ჰემ იუნაიტედი" და „ტსვ მიუნხენი". 1966 — სტეფან ჰორვატი (იუგოსლავია, ჭიდაობა), 1967 — იშტვან გუიაში (უნგრეთი, ჩოგბურთი). 1968 — იაპონიის ნაკრები ფეხბურთში. 1969 — პედრო ზაბალა (ესპანეთი, ფეხბურთი) და ფრანჩესკო ბუსკატო (ესპანეთი, კალათბურთი). 1970 — რიშარდ შურკოვსკი (პოლონეთი, ველოსპორტი). 1971 — მეტა ანტენენი (შვეიცარია, მძლეოსნობა). 1972 — სტენ სმითი (აშშ, ჩოგბურთი) და ემილიო როდრიგესი (ესპანეთი, კალათბურთი). 1973 — ინგლისის ნაკრების ოთხი წევრი ველოსპორტში. 1974 — კლოდ რავონელი (შვეიცარია, კარატე) და ლია მანოლიუ (რუმინეთი, მძლეოსნობა). 1975 — ვიქტორ ნიდერჰოფერი (აშშ, მძლეოსნობა), ბობ მატიასი (აშშ, მძლეოსნობა) და ემილ ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია, მძლეოსნობა). 1976 — იენე კამუტი (უნგრეთი, ფარიკაობა). 1977 — ჯონ ნუბერი (აშშ, ცურვა) და გუსტავ კილანი (გფრ, ველოსპორტი). 1978 — ტამაშ ვიხმარი (უნგრეთი, კანოე) და გურეტ ედვარდსი (ინგლისი, რაგბი). 1979 — ფილიპ რუ (შვეიცარია, ავტორბოლა) და სვენ ტოფელტი (შვეცია, თანამედროვე ხუთჭიდი). 1980 — ჯიაცინტო ფაკეტი (იტალია, ფეხბურთი), და სერ სტენლი როუზი (ინგლისი, ფიფა-ს პრეზიდენტი). 1981 — მუჰამედ გამუდი (ტუნისი, მძლეოსნობა) და კლაუს შტაინბახი (გფრ, ცურვა). 1982 — მათს ვილანდერი (შვეცია, ჩოგბურთი). 1983 — ისმეთ კარაბაბა (თურქეთი, ფეხბურთი) და ალექსანდრ მედვედი (საბჭოთა კავშირი, ჭიდაობა). 1984 — მუჰამედ ალი რასვანი (ეგვიპტე, ძიუდო). 1985 — რენე ბეზენერი (საფრანგეთი, მძლეოსნობა), ჯონ კული (აშშ, ნიჩბოსნობა), იუხა მლეტო (ფინეთი, თხილამურები). 1986 — სერ სტენლი მეტიუზი (ინგლისი, ფეხბურთი). იშტვან ვასკუტი და იანოშ შაროში — კიში (ორივე — უნგრეთი, კანოე). 1987 — ვიაი არმიტრაჟი (ინდოეთი, ჩოგბურთი), კლევლენდ სტრუდი (აშშ, კალათბურთი). 1988 — ტეოფილო სტივენსონი (კუბა, კრივი) და საბჭოთა — კანადის გაერთიანებული ტრანსარქტიკული ექსპედიცია. 1989 — ვერა ჩესლავსკა (ჩეხოსლოვაკია, ტანვარჯიში).

# ამჟამინდელი პრინციპი

## მილიონზე მეტი დოლარი მონაწილეობისათვის

● **დამთავრდა** ფინეთის ქალაქებში მიმდინარე ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პირველი ნახევარი. გამოვლინდნენ კონტინენტის უძლიერესი გუნდები. ევროპის ჩემპიონატზე ადგილები განაწილდა ასე: 1. სსრკ, 2. შვეცია, 3. ფინეთი, 4. ჩეხოსლოვაკია, 5. შვეიცარია, 6. გერმანია. მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის ბრძოლას კი, ტრადიციისამებრ, ოთხი ნაკრები განაგრძობს, ესენია: სსრკ-ის, შვეციის, კანადისა და აშშ-ს ჰოკეისტთა კოლექტივები.

● **ზუსტად** ერთი თვის შემდეგ სევილიაში, „ლა კარტუხას" ახალ სტადიონზე გაიმართება მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს თანამედროვეობის ორმა საუკეთესო სპრინტერმა, ამ ცოტა ხნის წინ რეაბილიტირებულმა კანადელმა ბენ ჯონსონმა და ამერიკელმა „სუპერვარსკვლავმა" კარლ ლუისმა. ჯერ მარტო იმის გამო, რომ ტურნირში გამოსვლაზე თანხმობა განაცხადეს ჯონსონი და ლუისი სპონსორებისგან (რომლებიც ვინაობას მალავენ) ჰონორარის სახით მილიონ დოლარზე მეტს მიიღებენ. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ჯონსონი მხოლოდ 100 მეტრიან დისტანციაზე გამოვიდეს, ლუისი კი 200 მეტრიანზე. მაგრამ ეს, შეთანხმების თანახმად, გავლენას ვერ მოახდენს ჰონორარის ოდენობასა და განაწილებაზე.

# არასასიკვდილო ვარდნა

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.** მიუხედავად იმისა, რომ 12 წლის ჯონ ტრინხოვე 60-მეტრიანი სიმაღლიდან ჩამოვარდა, საღ-სალამათი გადარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ნაკაწრსა და ნაჭდევს.

როგორც გაზეთი „სტარი" იუწყებოდა, ჯონმა და მამამისმა პრეტორიის აღმოსავლეთით მდებარე მაგალისბერგის მასივის ერთ-ერთი მწვერვალი დალაშქრეს. დაშვებისას ბიჭს ფეხი დაუცდა, ვერ შეძლო ჩასჭიდებოდა ქვებს ან ხეებს და ჩამოვარდა. მას წარმოუდგენლად გაუმართლა: ჯონს არც ერთი ძვალიც არ მოუტეხია.

რადიოთი გამოძახებულმა ვერტმფრენმა „ქუდბედნიერი" ყმაწვილი საავადმყოფოში მიიყვანა, სადაც მას 11 ნაკერი დაადეს. დახმარების გაწევიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოზარდი გაწერეს და იგი მალე კვლავ წავა სკოლაში.

— შემდგომში უფრო ფრთხილად მოვიქცევი მთებში მოგზაურობისას, ოღონდ ალპინიზმს თავს არ დავანებებ, — განუცხადა მან კორესპონდენტებს.

**ჯონ ტრინხოვე**



# „რეალის" ძნელი დღეები

ეს ერთი სეზონია, მადრიდის პოპულარულ კლუბს „რეალს" არ წყალობს ბედი არც ფეხბურთში, არც კალათბურთში. უფრო სწორად, კლუბი არნახულ კრიზისს განიცდის, რასაც, როგორც ჩანს, აქვს ობიექტური მიზეზები. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ფეხბურთელები 31 ტურის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში მათთვის უჩვეულო მეექვსე ადგილზე იმყოფებიან (14 გამარჯვება, 5 ფრე, 12 დამარცხება) და არ არის არავითარი პერსპექტივა, რომ ვთქვათ, პრიზიორთა სამეულში მოხვდნენ.

დაახლოებით ანალოგიურ დღეშია (თუ უარესში არა) კალათბურთელთა გუნდი, რომელიც თავის დროზე ყველა უმაღლეს ტიტულს ფლობდა, დღეს კი ვერ დაძლია ეროვნული ჩემპიონატის მეოთხედფინალური ზღვარი და გამოეთიშა ასპარეზობას. ერთ დროს უძლეველ „რეალს" ამჯერად გზა გადაუღობა ქალაქ ვიტორიას ნაკლებადცნობილმა გუნდმა „ტაუგრესმა", რომელმაც ორჯერ დაამარცხა იგი: სტუმრად — 81:78, შინ — 86:68.

ცოტა ხნით ადრე „რეალი" დამარცხდა კორაჩის თასის ფინალშიც იტალიის კლუბთან „კლეართან" (ქალაქ კანტუდან) და ახლა მორიგი კატასტროფა, უკვე ეროვნული ჩემპიონატის დონეზე. მიმომხილველები ამ წარუმატებლობას, პირველ ყოვლისა, მწვრთნელთა „ოთურმით" (ხშირი ცვლით) ხსნიან. ამ ცოტა ხნის წინ ამერიკული წარმოშობის ესპანელი მწვრთნელი უეინ ბრაბენდერი (ადრე იგი „რეალში" თამაშობდა) 64 წლის იგნასიო პინედომ შეცვალა. მაგრამ ამ უკანასკნელს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს (როგორც პრესაში იუწყებოდნენ, ნერვულობის შედეგად) სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა. ახლა კლუბის ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს ეძებს.

„რეალს" გარკვეული პრობლემები შეექმნა შემადგენლობის თვალსაზრისითაც. საქმე ის გახლავთ, რომ ჩინებულ სპორტულ ფორმაში მყოფი ამერიკელი სტენლი რობერტსი ნბა-ს ერთ-ერთმა კლუბმა გადაიბირა. ვენესუელელი კარლ ერერა, როგორც ჩანს, სულ მალე სხვა კლუბში გადავა, ისევე როგორც ცენტრალური თავდამსხმელი ფერნანდო რომეი. ჯერჯერობით გაურკვეველი მდგომარეობაა ხოსე ბირიუკოვთან დაკავშირებით...

„რეალის" მძლეველი „ტაუგრესი" კი... იგი ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალში ბადალონის (ბარსელონის გარეუბანია) „ჰუვენტუსს" შეხვდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილს ესპანეთის ახლანდელი ჩემპიონი „ბარსელონა" და მადრიდის „ესტუდიანტესი" შეადგენენ.

## „სპორტლოტო"

**მე-17 ტირაჟების შედეგები**

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 37 (აკრობატიკა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 10 (წყალბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 34 (ბალახის ჰოკეი).

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-16 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.388.046 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები თანხა (10.410 მანეთი) დაემატება მე-17 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ თანხას, რომელიც გაიზარდა 75.517 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (112) მოგება 857 მანეთია, ოთხისთვის (3.590) — 67.

საქართველოში: დაშვებულია 18.339 ვარიანტი. 6—0, 5—4, 4—43.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 19.568.740 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (34) მოგება 17.270 მანეთია, ოთხისთვის (9.177) — 102, სამისთვის (234.986)—6.

საქართველოში: დაშვებულია 214.279 ვარიანტი. 5—0, 4—102, 3—2.445.

მე-16 და 7-16 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 11 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს საკუთარ კორესპონდენტს აჭარაში, გაზეთ „ოლიმპიური მოამბის" რედაქტორს მუხრან კობალაძეს დედის

**ოლღა დოლიძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ინდექსი INDEX ИНДЕКС 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20